

## პროტოპლაზმა (Protoplazma)

წამლისფორმა ხსნარი საინექციო, გამოიყენება ვეტერინარიაში

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი

იმუნომასტიმულირებელი, ანტიისტრესული, ანტიმიკრობული, ანტივირუსული, ენერგეტიკული საშუალება.

სამიზნე სახეობა

ყველა სახის ცხოველი და ფრინველი

შემადგენლობა

1მლ საინექციო ხსნარი შეიცავს: მცენარეული ღეროვანი უჯრედების კონცენტრატს (Glycine max, Hordeum vulgare) - 100მგ

დამხმარე ნივთიერებები: ნატრიუმის ქლორიდი, საინექციო წყალი

ფარმაკოლოგიური თვისებები

ბუნებრივი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთის „პროტოპლაზმას“ მდიდარი, მრავალკომპონენტური შემადგენლობა უზრუნველყოფს პრეპარატის მაღალეფექტურობასა და მოქმედების ფართო სპექტრს, გააჩნია ანტიბაქტერიული, ანტივირუსული, ანტიისტრესული, ენერგეტიკული აქტივობა. ასევე გამოხატული აქვს ანტიოქსიდანტური, იმუნომოდულაციური, ჰეპატოპროტექტორული და დეტოქსიკაციური თვისებები. მოქმედი ნივთიერების სუბსტანციის მოქმედების მექანიზმი ეფუძნება ქსოვილის უჯრედებში ბიოქიმიური პროცესების გააქტიურებას. აწესრიგებს კულჭ-ნაწლავის სისტემას (აქტიურებს ნაწლავების ბუნებრივ მიკროფლორას ბიფიდო და ლაქტობაქტერიებს), აღადგენს ჰორმონალურ ფონს, აძლიერებს გულსისხლძარღვთა სისტემას და ღვიძლის ფუნქციას, გამოხატული აქვს ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი და ქსოვილების რეგენერაციის უნარი. ქმნის ორგანიზმში ვირუსის განადგურებისთვის მაქსიმალურ პირობებს. აძლიერებს სპეციფიკურ იმუნურ რეაქციას ვაქცინების მიღებისას, ხელს უწყობს სპეციფიკური და არასპეციფიკური რეზისტენტობის მაჩვენებლების აღდგენას, სისხლში ზრდის T- და B- ლიმფოციტების შემცველობას. ამცირებს ორგანიზმში ავტოიმუნური რეაქციების წარმოქმნის რისკებს.

პრეპარატი „პროტოპლაზმა“-ს ენერგეტიკული მოქმედება განისაზღვრება მასში

შემავალი კომპონენტების თვისებებით, იგი აფართოებს ორგანიზმის

შესაძლებლობების ზღვარს, ხელს უწყობს კუნთების მასის, მოძრაობის სიჩქარის,

ძალების აღდგენისა და ამტანობის ზრდას.

აქტიური ნივთიერება ორგანიზმიდან გამოიყოფა მილებიდან 24 საათის განმავლობაში და არ აღინიშნება სისხლის შრატში.

გამოყენების ჩვენებები

პრეპარატი გამოიყენება როგორც იმუნომასტიმულირებელი, ანტისტრესული, ანტიმიკრობული, ანტივირუსული, ენერგეტიკული საშუალება.

- იმუნიტეტის ფორმირებისა და სტიმულაციისათვის, ბუნებრივი რეზისტენტობის ასამაღლებლად;
- ჩირქოვან-ანთებითი დაავადებების (ჭრილობები, აბსცესი და ა.შ.) რეგენერაციული (რეპარაციული) პროცესების დაჩქარებისთვის, კომპლექსურ თერაპიაში;
- სტრესულ სიტუაციებში, სტრესული მდგომარეობების თავიდან ასაცილებლად და შესამცირებლად (ტრანსპორტირებისას, ოპერაციის წინ და შემდგომ პერიოდში, ცხოველებისა და ფრინველების ფიქსაციისას);
- სხვადასხვა ეტიოლოგიის სასუნთქი გზებისა და კუჭნაწლავის ბაქტერიული და ვირუსული დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის კომპლექსურ თერაპიაში;
- ვაქცინაციის ეფექტის გასაძლიერებლად. ვაქცინაციის შემდეგ სპეციფიკური იმუნური რეაქციის გასააქტიურებლად და ვაქცინაციის შემდგომი გართულებების შესამცირებლად.
- ორგანიზმის ხანგრძლივი ფიზიკური დატვირთვისა და დამაბულობისას აღადგენს ძალებს და ზრდის ამტანობას.

გამოყენების წესი და დოზირება

ფრინველის, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხენის, აქლემის, ღორის, ძაღლის, კატისათვის პრეპარატი გამოიყენება კუნთში ან კანქვეშ საინექციოდ.

- ინფექციური და ვირუსული (ადრეულ სტადიაზე) დაავადებების მკურნალობისათვის: 1 მლ /100 კგ. სხეულის მასაზე, 24-48 სთ-ში ერთჯერ, არაუმეტეს 5 ინექციისა. ვირუსული ინფექციების სამკურნალოდ: 24-სთ-ში ერთჯერ, 5-დან 10 დღის განმავლობაში. აუცილებლობის შემთხვევაში მკურნალობის კურსი 5-10 დღეში უნდა გამეორდეს.

ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკისთვის: თვეში 2-3-ჯერ (10-14 დღის ინტერვალით);

მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია კლინიკურ და თერაპიულ ეფექტზე.

საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია დოზის გაორმაგება.

- მასობრივი დაავადებების დროს: ერთჯერადად მისაღები დოზა დღეგამოშვებით, 5-10 დღის განმავლობაში (3 - 5 ინექცია);
- ცხოველის მდგომარეობის გაუარესებისას, დაავადების საწყის სტადიაზე: ერთჯერადად მისაღები დოზა 2-3-ჯერ, 3-5 დღის ინტერვალით.
- მასტიმულირებელი ეფექტისათვის: 2-3-ჯერ, 3-5 დღის ინტერვალით - მოზარდულის ბუნებრივი რეზისტენტობისა და ზრდა-განვითარების სტიმულირებისათვის: სიცოცხლის 1, მე-3 და მე-5 ან მე-7 დღეს, შემდგომში თვეში ერთხელ;
- სტრესული მდგომარეობების შედეგების აღმოსაფხვრელად (დაკვლის წინ, ტრანსპორტირებისას, გაპარსვისას, ცხოველის ფიქსაციისას და ა.შ.) - ერთჯერადად მისაღები დოზა, სტრესულ ზემოქმედებამდე 10-18 სთ-ით ადრე.
- ოპერაციის წინ მოსამზადებლად: ერთჯერადად მისაღები დოზა 1-ჯერ,
- ოპერაციის შემდგომ პერიოდში: 2-3-ჯერ, 3-5 დღის ინტერვალით.
- ცხენების დოღის წინ, ინტენსიური ვარჯიშისა და ფიზიკური დატვირთვის პერიოდში (დილით ვარჯიშამდე 3სთ-ით ადრე): 1 მლ/ 100კგ სხეულის მასაზე, კვირაში ერთჯერ სამი კვირის განმავლობაში, შემდეგი 1,5 კვირის განმავლობაში ყოველ მეოთხე დღეს. შეჯიბრებამდე 3 სთ-ით ადრე პრეპარატის მიღება წყდება.

გამოშვების ფორმა

50მლ

გვერდითი მოვლენები

ინსტრუქციის შესაბამისად პრეპარატის გამოყენებისას, გვერდითი მოვლენები და გართულებები არ აღინიშნება.

ურთიერთქმედება სხვა მედიკამენტებთან

პრეპარატი თავსებადია ვაქცინებთან, შრატებთან (იმუნოგლობულინურ თერაპიასთან) და სიმპტომატურ საშუალებებთან (ანტიბიოტიკები, ვიტამინები, საგულე პრეპარატები)

უკუჩვენებები

მაკობის პერიოდში პრეპარატი გამოიყენება მკურნალი ვეტერინარის შეხედულებისამებრ და მისი მეთვალყურეობის ქვეშ.

მომატებული ინდივიდუალური მგრძობელობა პრეპარატის კომპონენტებისმიმართ.

დაყოვნების პერიოდი

ხორცი, რძე და კვერცხი გამოიყენება შეუზღუდავად.

შენახვის პირობები

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

პრეპარატი პირველადი გახსნიდან გამოყენებული უნდა იყოს 21 დღეში.

ვარგისობის ვადა: 2 წელი

მწარმოებელი: ბიოტეკსი, საქართველო